

კავლე მოციქულის წერილი კოლოსელთა მიმართ

1 კავლე, ღვთის ნებით იესო ქრისტეს მოციქული, და ძმა ტიმოთე,

2 კოლოსეში მყოფ წმიდათ და მორწმუნე ძმებს ქრისტეში.

**მადლობა ღმერთს მათი
ხნმენისა და
სიყვარულისათვის**

3 მადლი თქვენ და მშვიდობა ჩვენი მამა ღმერთისა და უფალ იესო ქრისტესაგან. ვმადლობთ ღმერთს, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მამას ყოველთვის, როცა თქვენთვის ვლოცულობთ.

4 რომ გვესმის თქვენი რწმენა ქრისტე იესოში და თქვენი სიყვარული ყოველი წმიდის მიმართ,

5 თქვენთვის ზეცაში გამზადებული სასოების გამო, რომელიც წინასწარ გესმათ სახარების ჭეშმარიტი სიტყვით,

6 რომელიც მოვიდა თქვენ-

თან ისევე, როგორც მთელ სოფელში, და მოაქვს ნაყოფი და იზრდება ისევე, როგორც თქვენს შორისაც იმ დღიდან მოკიდებული, რაც თქვენ ისმინეთ და შეიცანით ღვთის მადლი ჭეშმარიტებაში,

7 როგორც ისწავლეთ ჩვენ საყვარელ თანამსახურ, ებაფრასაგან, რომელიც ერთგულად ემსახურება ქრისტეს თქვენთვის,

8 მანვე გვაუწყა თქვენი სიყვარული სულით.

**ლოცულობს, ხმმ
მოიქცნენ უფლის ღმერთსა**

9 ამისათვის ჩვენც იმ დღიდან, რაც ეს მოვისმინეთ, განუწყვეტლივ ვლოცულობთ თქვენთვის, რათა აღივსოთ მისი ნების შეცნობით, ყოველნაირი სიბრძნითა და სულიერი გონებით,

10 რათა მოიქცეთ უფლის ღირსად და ყველაფერში აამოთ მას ყოველ კეთილ საქ-

მეში ნაყოფის გამოღებით და ღვთის შეცნობაში ზრდით,

11 მთელი ძალით გაძლიერდეთ მისი ღიდების სიმტკიცისამებრ ყოველგვარ მოთმინებაში და სულგრძელებაში სიხარულით.

12 ჰმადლობდეთ მამას, რომელმაც წმიდანთა მემკვიდრეობის მონაწილეობის ღირსი გაგვხადა ნათელში,

13 რომელმაც გვიხსნა სიბნელის ხელმწიფებისაგან და შეგვიყვანა თავისი საყვარელი ძის სასუფეველში,

იესოს ჰქონდეს ყველაფერიში ჰიქველობა

14 რომელშიც გვაქვს მისი სისხლით გამოსყიდვა და ცოდვების მიტევება,

15 ვინც არის უხილავი ღვთის ხატება, პირმშო ყოველი ქმნილებისა,

16 ვინაიდან მისით შეიქმნა ყოველი, რაც ცაში და მიწაზეა, ხილული და უხილავი: საყდარნი თუ უფლებანი, მთავრობანი თუ ხელმწიფებანი – ყველაფერი მის მიერ და მისთვის არის შექმნილი.

17 იგი არის უწინარეს ყოვლისა და ყოველივე მისით დგას.

18 ის არის ეკლესიის სხეულის თავი. ის არის დასაბამი, პირმშო მკვდართაგან, რათა მას ჰქონდეს პირველობა ყველაფერში.

19 რადგან მასში მოიწონა მთელი სისავსის დამკვიდრება,

20 რათა მისით შემოერიგებინა ყოველი, დაემშვიდებინა მისი ჭვრის სისხლით მიწაზე თუ ცაში.

სახაიების ქადაგება ნაჩინათთა შოხის

21 თქვენც, რომელნიც ოდესღაც იყავით გაუცხოებულნი და გონებით მტრები თქვენი ბოროტი საქმეების გამო,

22 ახლა შეგირიგათ მისი სხეულის ხორცში, მისი სიკვდილით, რათა წარგადგინოთ თავის წინაშე წმიდები, უბიწონი და უბრალონი.

23 ოღონდ თუ დარჩებით მტკიცე და შეურყეველი რწმენაში და არ გადაუხვევთ

სახარების სასოებას, რომელიც თქვენ ისმინეთ, რომელიც ექადაგა ყოველ ქმნილებას ცისქვეშეთში და რომლის მსახურიც გავხდი მე, პავლე.

24 ახლა კი ვხარობ ჩემი ტანჯვებით თქვენს გამო და ჭირს, რაც ქრისტეს დააკლდა, ვავსებ საკუთარი ხორციით მისი სხეულისათვის, რომელიც ეკლესიაა,

25 რომლის მსახურიც მე გავხდი საღვთო მნებობის მიხედვით, რომელიც ნაბოძები მაქვს თქვენი გულისთვის, აღსასრულებლად ღვთის სიტყვისა,

26 საიდუმლოსი, რომელიც დაფარული იყო საუკუნეთა და თაობათაგან და ახლა გაემხილათ მის წმიდებს,

27 რომელთათვისაც ღმერთმა ინება ეცნობებინა, თუ რა არის სიმდიდრე ამ საიდუმლოს დიდებისა წარმართებს შორის, რაც არის ქრისტე თქვენში, დიდების სასოება,

28 რომელსაც ვქადაგებთ ჩვენ, რათა შევაგონოთ ყოველ ადამიანს და ვასწავლოთ

ყოველ ადამიანს ყოველგვარი სიბრძნე, რათა ყოველი კაცი წარვადგინოთ სრულქმნილად ქრისტე იესოში.

29 ამისათვის მეც ვშრომობ და ვიღწვი მისი ძალით, რომელიც ძლიერად მოქმედებს ჩემში.

ჯოლოსელთა მტკიცე ხმენა

2 მინდა, იცოდეთ, რაოდენი ღვაწლი მაქვს თქვენზე, ლაოდოკიელებზე და ყველაზე, ვისაც ხორციელად არ უხილავს ჩემი სახე.

2 რათა ინუგეშონ სიყვარულით შეერთებულმა მათმა გულებმა სრულქმნილი გონების ყოველგვარი სიმდიდრისათვის, ღვთისა და ქრისტეს საიდუმლოს შეცნობისათვის,

3 რომელშიც დაფარულია სიბრძნისა და ცოდნის ყველა განძი.

4 ამას იმიტომ გეუბნებით, რათა არავინ შეგაცდინოთ მაცდური სიტყვით.

5 ვინაიდან, თუმცა ხორციელად შორს ვარ თქვენ-

გან, სულით თქვენთან ვიმყოფები და მიხარია, რომ ვხედავ თქვენს წესიერებას და თქვენი რწმენის სიმტკიცეს ქრისტეში.

6 ამიტომ, როგორც მიიღეთ ქრისტე იესო უფალი, ასევე იარეთ მასში,

7 ფესვგადგმულებმა და მისით აღშენებულებმა, განმტკიცებულებმა რწმენით, როგორც გისწავლიათ, და წარმატებულებმა მადლიერებაში.

სხეცოფილი ხაით მასში

8 გაფრთხილდით, არავინ გაგიტაცოთ სიბრძნისმოყვარებითა და ფუჭი ცდუნებით, კაცთამიერი გადმოცემისა და ამ სოფლის წესისამებრ და არა ქრისტესამებრ.

9 ვინაიდან მასში დამკვიდრებულია ხორციელად ღვთაების მთელი სისავსე.

10 და თქვენ სავსენი ხართ მასში, ვინც ყოველი მთავრობისა და ხელმწიფების თავია.

11 თქვენ მასში წინადაცვეთილებიც ხართ ხელთუქმნელი წინადაცვეთით, ხორცის

ცოდვილი სხეულის განძარცვით – ქრისტესეული წინადაცვეთით.

12 მასთან ნათლისღებით დამარხულები მასთანვე აღდექით ღვთის ძალისადმი რწმენით, რომელმაც აღადგინა იგი მკვდრეთით.

13 თქვენც, მკვდრები შეცოდებებში და თქვენი ხორცის წინადაუცვეთლობაში, გააცოცხლათ მასთან ერთად და მოგიტევათ ყველა შეცოდება.

14 განჩინებებით წაშალათანადადებთა ხელით წერილი, რომელიც ჩვენს წინააღმდეგ იყო, აიღო იგი შუაგულიდან და ჯვარს მიამსჭვალა.

15 განაიარალა მთავრობანი და ხელმწიფებანი. სააშკარაოდ შეარცხვინა და ჯვრით იზეიმა მათზე გამარჯვება.

ნუხავინ განგსჯით

სასმელ-საჭმელისათვის

16 ამიტომ ნურავინ განგსჯით თქვენ საჭმელისა თუ სასმელისათვის, ან რაიმე დღესასწაულისათვის ანდა ახალმთვარობისა და შაბათებისათვის.

17 ეს მომავლის ჩრდილია, სხეული კი – ქრისტესი.

18 ნურავინ შეგაცდენთ სიმდაბლით და ანგელოზების სამსახურით, ვინც ებოტინება იმას, რაც არ უნახავს და ფუჭად ამპარტავნებს თავისი ხორციელი გონებით.

19 არ ეჭიდება თავს, რომლისგანაც მთელი სხეული, სახსრებითა და კავშირებით შენივთებული და შეერთებული, იზრდება ღვთისმიერი ზრდით.

20 თუ ქრისტესთან ერთად მოუკვდით ამ სოფლის წესებს, სოფელში მცხოვრებთა მსგავსად რალად ემორჩილებით მათ?

21 ნუ მიეკარები, ნუ იგემებ, ნუ შეეხები

22 ნურაფერს, რაც იხრწნება ხმარებისაგან, კაცთამცნებებისა და მოძღვრების თანახმად?

23 ეს ყველაფერი მხოლოდ გარეგნულად ჰგავს სიბრძნეს ცრუთაყვანებით, სიმდაბლით და სხეულის დათრგუნვით, მაგრამ ყოველივე ეს არ არის გამიზნული ხორცის განცხრომის წინააღმდეგ.

თქენი სიცოცხლე დაფაჩულია ქრისტესთან ღმერთში

3 ამგვარად, თუ თქვენ აღდექით ქრისტესთან ერთად, ეძიეთ მალლა, სადაც ქრისტე ზის ღვთის მარჯვნივ.

2 ზეციერზე იფიქრეთ და არა მიწიერზე.

3 ვინაიდან თქვენ მოკვდით და თქვენი სიცოცხლე დაფარულია ქრისტესთან ღმერთში.

4 როცა გამოჩნდება ქრისტე, თქვენი სიცოცხლე, მაშინ თქვენც გამოჩნდებით მასთან ერთად დიდებით.

განიშოხეთ ძველი, შეიმოსეთ ახალი

5 მაშ, მოაკვდინეთ თქვენი მიწიერი ასოები: სიძვა, უწმიდურება, ვნება, ბოროტი გულისთქმა და ანგარება, რაც კერპთმსახურებაა.

6 რომელთა გამოც ღვთის რისხვა მოდის,

7 რომელთა შორისაც თქვენც დადიოდით, როცა მათ შორის ცხოვრობდით.

8 ახლა კი განიშორეთ ყოველივე ეს: რისხვა, მძვინვარება, ბოროტება, გმობა, თქვენი ბაგეების ბილწსიტყვაობა.

9 ნუ ეცრუებით ერთმანეთის მიმართ, რადგან შემოძარცვული გაქვთ ძველი ადამიანი მისი საქმეებითურთ.

10 და შეიმოსეთ ახალი, რომელიც განახლებულია ცოდნით მისი შემოქმედის ხატისამებრ,

11 სადაც არ არის არც ბერძენი, არც იუდეველი, არც წინადაცვეთა, არც წინადაუცვეთელობა, არ არის ბარბაროსი, სკვითი, მონა და თავისუფალი, არამედ ქრისტეა ყოველივე და ყოველივეში.

12 ამიტომ, როგორც ღვთის რჩეულებმა, წმიდებმა და საყვარლებმა, შეიმოსეთ მოწყალეობა, სახიერება, თავმდაბლობა, სიმშვიდე, სულგრძელება.

13 შეიწყნარეთ ერთმანეთი და მიუტევეთ ერთმანეთს, თუ ვინმესთან რაიმე სადაო აქვს ვინმეს, როგორც ქრისტემ მოგტივათ, ასევე – თქვენც.

14 და ყოველივე ამას დაურთეთ სიყვარული, რაც სრულქმნილების კავშირია.

15 ბატონობდეს თქვენს გულებში ღვთის მშვიდობა, რომლისკენაც მოწოდებულნი ხართ ერთ სხეულად და იყავით მადლიერნი.

სიტყვა ქრისტესი

დამკვიდრეს თქვენში

16 უფლის სიტყვა უხვად დამკვიდრდეს თქვენში სრული სიბრძნით. ასწავლეთ და შთაგონეთ ერთმანეთი ფსალმუნით, სადიდებლით და სასულიერო საგალობლებით, და უგალობეთ ღმერთს თქვენს გულებში მადლიერებით.

17 და ყოველივე, რასაც თქვენ აკეთებთ სიტყვით თუ საქმით, ყოველივე გააკეთეთ უფალ იესოს სახელით და მის მიერ ჰმადლობდეთ მამა ღმერთს.

18 ცოლებო, დაემორჩილეთ თქვენს ქმრებს, როგორც უფალშია საკადრისი.

19 ქმრებო, გიყვარდეთ თქვენი ცოლები და ნუ იქნებით სასტიკნი მათ მიმართ.

20 შვილებო, დაემორჩილეთ თქვენს მშობლებს ყველაფერში, ვინაიდან ასეა მოსაწონი უფლისათვის.

21 მამებო, ნუ გააღიზიანებთ თქვენს შვილებს, რათა თავი არ მოაბეზროთ.

22 მონებო, ყველაფერში დაემორჩილეთ თქვენს ხორციელ ბატონებს, არა მოჩვენებითი სამსახურით, როგორც კაცთმამებლებმა, არამედ გულწრფელად, როგორც ღვთისმოშიშებმა.

23 ყოველივე, რასაც აკეთებთ, გააკეთეთ სულით, როგორც ღვთისათვის და არა კაცთათვის.

24 იცოდეთ, რომ მემკვიდრეობას მიიღებთ უფლისაგან საზღაურად, ვინაიდან უფალ ქრისტეს ემსახურებით.

25 ხოლო, ვინც უსამართლოდ მოიქცევა, იგი მიიღებს თავისი უსამართლობისათვის. და არ არის მიკერძოება.

ბუჯითი ღოცვაში, მადლიეხებაში

4 ბატონებო, მიაგეთ მონებს რაც სწორი და სა-

მართლიანია, იცოდეთ, რომ თქვენც გყავთ უფალი ზეცაში.

2 იბეჯითეთ ღოცვაში და ფხიზლად იყავით მასში მადლიერებით.

3 ილოცეთ ჩვენთვისაც, რომ ღმერთმა გაგვიღოს სიტყვის კარი, რომ ვაუწყოთ ქრისტეს საიდუმლო, რომლისთვისაც შებორკილი ვარ,

4 რათა გავაცხადო იგი, როგორც მმართვეს, რომ ვაუწყო.

5 სიბრძნით მოიქეცით გარეშეთა მიმართ და მოივაჭრეთ ჟამი.

6 თქვენი სიტყვა ყოველთვის მადლიანი იყოს, მარტო შეზავებული, რათა იცოდეთ, ვის რა პასუხი გაცდეთ.

ნეხილები წაიკითხეთ უკესიებში

7 ჩემს შესახებ ყველაფერს გაცნობებთ ტვიქიკოსი, საყვარელი ძმა, ერთგული მსახური და თანამშრომელი უფალში,

8 რომელიც იმისათვის გამოვიგზავნეთ, რომ შეიტყუოთ ჩვენი ამბავი და ნუგეშში სცეს თქვენს გულებს

9 ონისიმესთან, ერთგულ და საყვარელ ძმასთან ერთად, რომელიც თქვენიანია. ისინი გაამბობენ ყველა აქაურ ამბავს.

10 მოკითხვას გითვლით არისტარქოსი, ჩემთან ერთად ტყვედ მყოფი, და მარკოზი, ბარნაბას დისწული, რომლის შესახებაც მოგივიდათ უწყება: თუ მოვიდეს თქვენთან, მიიღეთო.

11 ასევე იესო, რომელსაც იუსტოსს ეძახიან, ორივე წინადაცვეთილთაგანია. მხოლოდ ესენი იყვნენ ღვთის სასუფეველისთვის თანამშრომელნი, მე რომ მანუგეშებდნენ.

12 მოკითხვას გითვლით თქვენიანი ებაფრა, ქრისტე იესოს მსახური, რომელიც მუდამ თქვენთვის იღწვის

ლოცვებში, რათა წარდგეთ მტკიცედ სრულნი და სავსენი ღვთის ყოველი ნებით.

13 მე ვამოწმებ მასზე, რომ დიდი მოშურნეა თქვენთვის, აგრეთვე ლაოდიკიელთათვის და იერაპოლელთათვის.

14 მოკითხეთ საყვარელი მკურნალი ლუკა და დემასი.

15 მოკითხეთ ლაოდიკიელი ძმები, ნუმფა და მისი საშინაო ეკლესია.

16 როცა ამ წერილს წაიკითხავენ თქვენთან, ისე მოიქეცით, რომ ლაოდიკიელთა ეკლესიაშიც წაიკითხონ, ხოლო რომელიც ლაოდიკიიდან არის, თქვენც წაიკითხეთ.

17 ასე უთხარით არქიპოსს: ყურადღებით იყავი, რომ შეასრულო მსახურება, რომელიც უფლისგან მიიღე-თქო.

18 მოკითხვა ჩემი, პავლეს ხელით. გახსოვდეთ ჩემი ბორკილები. მაღლი თქვენთან. ამინ.